საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ავადჰარა

ავადჰარა, საბჭ. პერიოდში მთის კლიმატური და ბალნეოლ. კურორტი გუდაუთის მუნიციპალიტეტში, კავკასიონის ქედის სამხრ. ფერდობზე, მდ. ავადჰარის ხეობაში. ზ. დ. 1700 მ. გუდაუთიდან 75 კმ, სოხუმიდან – 115 კმ, თბილისიდან – 560 კმ.

კურორტის ტერიტ. წიწვიანი ტყით არის დაფარული. კლიმატი ზომიერია, იცის გრილი ზაფხული (აგვ. საშ. ტემპ-რა 13,8°C) და ზომიერად თბილი დიდთოვლიანი ზამთარი (იანვ. საშ. ტემპ-რა –6,7°C). ნალექების წლ. რაოდენობა 2280 მმ. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში 1900 სთ. ბუნებრივი სამკურნ. ფაქტორებია მთის ჰავა, რ-იც მაღალი სამკურნ.-პროფილაქტ. თვისებებით ხასიათდება და განსაკუთრებით ეფექტურია ფილტვების დაავადების დროს, და ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატული ნატრიუმ-კალციუმიანი მინერ. წყალი „ავადჰარა“.

ა-ში ფუნქციონირებდა 150-ადგილიანი პანსიონატი. 1982 დამუშავდა ა-ის გენ. გეგმა (შეთავსებული დეტალური დაგეგმარების პროექტთან). პროექტის ავტორია არქიტ. ა. სიჭინავა.

ა. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

გ. უშვერიძე

ე. ბაგრატიონი